შპს სმარტ კაპიტალ ქონსალთენსი”

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის

შპს "სმარტ კაპიტალ ქონსალთენსი"

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	4	768	777
გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები		(411)	(869)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(2,610)	(2,678)
ფინანსური ხარჯი		(1,645)	(1,207)
საკურსო სხვაობით გამოწვეული ზარალი, წმინდა		(7)	(2)
სხვა მოგება		15	-
ხარჯი გადასახადამდე		**(3,890)**	**(3,979)**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლიური ზარალი		**(3,890)**	**(3,979)**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული ზარალი		**(3,890)**	**(3,979)**

ხელმძღვანელობის სახელით

რატი ღვამბერია
გენერალური დირექტორი

თბილისი, საქართველო
30 სექტემბერი 2025

შპს „სმარტ კაპიტალ ქონსალთენსი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები:			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		153	160
არამატერიალური აქტივები		11	12
სულ გრძელვადიანი აქტივები		**164**	**172**
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		5	5
გადახდილი ავანსები და სხვა აქტივები		6,367	6,752
ფული და ფულის ექვივალენტები		69	69
სულ მიმდინარე აქტივები		**6,441**	**6,826**
სულ აქტივები		**6,605**	**6,998**
ვალდებულებები და კაპიტალი			
კაპიტალი:			
დაგროვილი ზარალი		(11,431)	(7,541)
სულ კაპიტალი		**-11,431**	**-7,541**
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
ნასესხები სახსრები	6	17,022	13,802
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**17,022**	**13,802**
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული ავანსი		175	175
გადასახდელი გადასახადები		132	36
სავაჭრო და სხვა კრედიტული დავალიანება		707	526
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**1,014**	**737**
სულ ვალდებულებები		**18,036**	**14,539**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:		**6,605**	**6,998**

შპს „სმარტ კაპიტალ ქონსალთენსი“

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ქართულ ლარში)

	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 1 იანვარი 2023	**(3,562)**	**(3,562)**
სულ წლის სრული ზარალი	(3,977)	(3,977)
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	**(7,541)**	**(7,541)**
სულ წლის სრული ზარალი	(3,890)	**(3,890)**
ნაშთი 31 დეკემბერი 2024	**(11,431)**	**(11,431)**

შპს „სმარტ კაპიტალ ქონსალთენსი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები:	(704)	(6,385)
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები:	-	-
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები:	715	6,305
ფულადი სახსრების შემოსვლა	**11**	**(80)**
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(11)	43
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში:	**69**	**106**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:	**69**	**69**

შპს „სმარტ კაპიტალ ქონსალთენსი“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრისთვის
(ათას ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სმარტ კაპიტალ ქონსალთენსი“ („კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია 2018 წლის 30 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ალ. გერგეთის ქუჩა 3"

კომპანიის მთავარ საქმიანობას წარმოადგენს იურიდიული, ბუღალტრული და სხვა ტიპის მომსახურებების გაწევა.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ფლობს შემდეგი აქციონერი:

აქციონერის სახელი	**31 დეკემბერი 2024**	**31 დეკემბერი 2023**
შპს „სმარტ კაპიტალ გრუპი“	100%	100%

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

შესაბამისობის საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასსს“) მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო ინტერპრეტაციების კომიტეტის („ფასიკ“) მიერ გამოშვებული ინტერპრეტაციების მიხედვით.

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასსს“) მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო ინტერპრეტაციების კომიტეტის („ფასიკ“) მიერ გამოშვებული ინტერპრეტაციების მიხედვით. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებით. ისტორიული ღირებულება ჩვეულებრივ ეფუძნება აქტივების სანაცვლოდ გადაცემული ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმ დაშვებით რომ საწარმო ფუნქციონირებას განაგრძობს უწყვეტად, რაც გულისხმობს იმას, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიას შეეძლება აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა ნორმალური საქმიანობის პირობებში.

უცხოური ვალუტები. ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება პირის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი ნაკადები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. ყველა რეალიზებული და არარეალიზებული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოშობილია საკურსო სხვაობით, შედის პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ეს ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ლარში.

ურთიერთჩათვლა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები იქვითება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება წმინდა თანხით იმ შემთხვევაში, თუ პირს გააჩნია იურიდიულად აღსრულებადი უფლება, გაქვითოს აღიარებული თანხები და განზრახული აქვს, აქტივი ჩათვალოს წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და დაფაროს ვალდებულება. შემოსავალი და ხარჯი არ იქვითება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, თუ ეს არ არის სავალდებულო ან ნებადართული რომელიმე საბუღალტრო სტანდარტით ან ინტერპრეტაციით და ინდივიდუალურად განმარტებული კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკაში.

ქვემოთ მოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები.

შპს „სმარტ კაპიტალ ქონსალთეენსი“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრისთვის
(ათას ქართულ ლარში)

ამონაგები
ამონაგების განსაზღვრა ხდება საქონლის რეალიზაციიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. ამონაგები წარმოდგენილია ფასდაკლებების გამოკლებით. კომპანია ამონაგებს აღიარებს, როცა
შემდეგი პირობებია შესრულებული:
▪ ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;
▪ მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
▪ შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;

იჯარა - იჯარა კლასიფიცირდება როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც იჯარის პირობების მიხედვით არსებითად არსებული ყველა რისკი და სარგებელი გადადის მოიჯარეზე. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა. კომპანია, როგორც მოიჯარე საოპერაციო იჯარის გადახდები წრფივი მეთოდით აღიარდება როგორც ხარჯი იჯარის პირობების შესაბამისად. პირობითი იჯარები, რომლებიც წარმოიშვება აღიარდება ხარჯად შესაბამის პერიოდში.

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები ირიცხება საანგარიშგებო თარიღისათვის სრულად ან არსებითად ძალაში შესული ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით. ადრე მოქმედი მოდელით კომპანიებს მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიშვებოდა. მოგების გადასახადის დარიცხვის ახალი წელი კომპანიისათვის ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც რეალურ, აგრეთვე ნაგულისხმევ მოგების განაწილებას, მათ შორის:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც არაა კავშირში ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საქონლის/მომსახურების უფასო მიწოდება ან/და ფულადი სახსრების გადარიცხვა, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ აქტივობას; და
- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხული მოგებიდან გადასახადი აღიარდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების მომენტისათვის და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება „მოგებიდან გადასახადის“ ჯგუფში. მიმდინარე და წარსული პერიოდების მიმდინარე საგადასახადო აქტივი და საგადასახადო ვალდებულებები აისახება იმ თანხით, რომელიც, სავარაუდოდ უნდა გადაეხადოს საგადასახადო ორგანოებს ან მიღებულ იქნეს მათგან. სხვა კომპონენტებზე დაწესებული გადასახადი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება ჯგუფში „საგადასახადო ხარჯები“.

ახალი კანონმდებლობის ამოქმედების შედეგად, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზამ დაკარგა ეკონომიკური მნიშვნელობა და ახალი კორპორატიული დაბეგვრის მოდელით გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები აღარ გამოიყენება.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც ღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა და სადაც საჭიროა გაუფასურების რეზერვი.

ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულება მოიცავს:
ა) შესყიდვის ფასს, მათ შორის იმპორტისა და შესყიდვის დაუბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო ფასდაკლებისა და ფასდათმობების გამოკლებით,

ბ) ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ ეკუთვნის აქტივის ადგილზე მიტანასა და საოპერაციო მდგომარეობაში მოყვანას, როგორც ეს ხელმძღვანელობას აქვს განზრახული;

გ) აქტივის დემონტაჟის, მოხსნისა და იმ ადგილის აღდგენის ხარჯების შეფასებას, სადაც განთავსებული იყო;

დ) იმ ვალდებულებას, რომელსაც კომპანია იღებს აქტივის შეძენისას ან იმის გამო, რომ რომ იგი გამოიყენა კონკრეტული პერიოდის განმავლობაში სხვა მიზნებისთვის, გარდა ამ პერიოდის მარაგების წარმოებისა;

ძირითადი საშუალებების ცვეთის კალკულაცია ხდება წრფივი მეთოდით, რათა ღირებულება განაწილდეს მათ სარგებლიანობის ვადაზე ნარჩენ ღირებულებამდე.

ამორტიზირებადი თანხა არის ქონებისა და აღჭურვილობის ერთეულის ღირებულება მისი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით. ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო თანხა, რომელსაც კომპანია მიიღებდა ქონებისა და აღჭურვილობის განკარგვის შედეგად, გასხვისების სავარაუდო ხარჯების გამოკლების შემდეგ, თუ აქტივი უკვე ძველი იყო და იმ მდგომარეობაში, რომელიც მოსალოდნელი იყო მისი გამოყენების ბოლოს.

ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი განიხილება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს. წინა შეფასებებიდან ნებისმიერი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პროსპექტიულად, როგორც ცვლილება სააღრიცხვო შეფასებაში.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები - პირობითი ვალდებულებების აღიარება ფინანსურ ანგარიშგებაში არ ხდება. ისინი განიმარტება ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, თუ ეკონომიკური სარგებლის მატარებელი რესურსების გადინების შესაძლებლობა ნაკლებ სავარაუდო არაა. პირობითი აქტივების აღიარება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ ხდება, ისინი განიმარტება ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემოდინების მოლოდინი რეალურია.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარებულია, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება რეალური ღირებულებით. ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც უშუალოდ მიეკუთვნება ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გაცემას (გარდა ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების სახით) ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების სამართლიან ღირებულებას. საჭიროებისამებრ, თავდაპირველი აღიარებისას. ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც უშუალოდ მიეკუთვნება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შეძენას სამართლიანი ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების მეშვეობით, აღიარებულია დაუყოვნებლივ მთლიანი შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ კონკრეტულ კატეგორიებად: ფინანსური აქტივები „სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის მეშვეობით“ (FVTPL), „დაფარვის ვადამდე შენახული“ ინვესტიციები, „გასაყიდად ხელმისაწვდომი“ (AFS) ფინანსური აქტივები და „სესხები და მოთხოვნები“. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივების ბუნებასა და დანიშნულებაზე და განისაზღვრება პირველადი აღიარების დროს.

კომპანიის ძირითადი ფინანსური აქტივებია ნაღდი ფული, გაცემული სესხები და სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, რომლებიც კლასიფიცირებულია როგორც სესხები და მოთხოვნები.

<u>ეფექტური საპროცენტო მეთოდი</u>

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის ვალის ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულების გამოანგარიშებისა და საპროცენტო შემოსავლის შესაბამისი პერიოდის გამოყოფის მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს სამომავლო ფულადი შემოსავლებს (მათ შორის ყველა საფასური და გადახდილი ან მიღებული ქულა, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, გარიგების ხარჯების და სხვა პრემიების ან დისკონტების განუყოფელ ნაწილს) ვალის ინსტრუმენტის სავარაუდო სიცოცხლის განმავლობაში. ან, საჭიროების შემთხვევაში, უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში, პირველადი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფული და ფულის ექვივალენტები ფული მოიცავს ფულს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე. სესხები და დებიტორული დავალიანებები სესხები და დებიტორული დავალიანებები წარმოადგენს ფიქსირებული ან განსაზღვრული ანგარიშსწორების მქონე ფინანსური აქტივების კატეგორიას, რომლებიც არ არის წარმოდგენილი აქტიურ ბაზარზე. სესხები და დებიტორული დავალიანებები განისაზღვრება

ამორტიზირებული ღირებულების მიხედვით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, აღნიშნულს გამოკლებული გაუფასურების შედეგად წარმოშობილი დანაკარგი.

<u>ფინანსური აქტივების გაუფასურება</u>

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები გაუფასურების შეფასება ხდება ყოველი საანგარიშგებოო პერიოდის ბოლოს. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდგომ ერთი ან რამდენიმე მოვლენის შედეგად, ინვესტიციის სავარაუდო ფულად ნაკადებზე მოხდა ზეგავლენა.

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების ზარალით ანარიცხების ანგარიშის გამოყენებით. როდესაც სავაჭრო დებიტორული დავალიანება ითვლება უიმედოდ, ის ჩამოიწერება ანარიცხის ანგარიშიდან. ადრე ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება კრედიტდება ანარიცხების ანგარიშზე. ანარიცხის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებები აღიარებულია მოგების ან ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ მაშინ, როდესაც ამოიწურება აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებები, ან როდესაც იგი გადასცემს ფინანსურ აქტივს და არსებითად საკუთრების ყველა რისკსა და სარგებელს სხვა საწამოს. სხვაობა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარებულ და მიღებულ ან მისაღები ანაზღაურებას შორის აღიარებულია კონსოლიდირებული მოგებისა ან ზარალის ანგარიშგებაში. ფინანსური ვალდებულებები. კომპანიას ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებსა და ნასესხებ სახსრებს.

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება რეალური ღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯების გამოკლებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით, საპროცენტო ხარჯების აღიარებით ეფექტური სარგებელი.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გაანგარიშებისა და შესაბამისი პერიოდის განმავლობაში საპროცენტო ხარჯის განაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ამცირებს სავარაუდო სამომავლო ნაღდი ფულის გადახდებს ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, ან, საჭიროების შემთხვევაში, უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში.

<u>ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა</u>

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიის ვალდებულებები სრულდება, უქმდება ან ვადა გასდის. სხვაობა აღიარება-შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ ანაზღაურებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

შეტანილი კაპიტალი. შეტანილი კაპიტალი კომპანიის მიერ აღიარებულია კომპანიას მიერ მიღებული რეალური შენატანის ღირებულების მიხედვით.

3. კრიტიკული საღრიცხვო შეფასებები და შეფასების გაურკვევლობის წყაროები

საღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას, რომლებიც აღწერილია შენიშვნაში #2, დირექტორებს ევალებათ შეფასებების, ვარაუდებისა და დაშვებების გაკეთება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების თაობაზე, რომლებიც სხვა წყაროებში მკაფიოდ არ ჩანს. შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ფაქტორებს. რეალური შედეგები შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. საღრიცხვო შეფასებების კორექტირება აღიარდება ამ კორექტირების გაკეთების პერიოდში, თუ კორექტირება მხოლოდ იმ პერიოდზე მოქმედებს, და აღიარდება კორექტირების და შემდგომ პერიოდებში, თუ კორექტირება მოქმედებს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

2024 წლის და 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია მნიშვნელოვანი დაშვებები

4. შემოსავალი მომსახურების გაწევიდან

კომპანიის შემოსავალი შედება იურიდიული, ბუღალტრული და სხვა ტიპის მომსახურებების გაწევიდან მიღებული შემოსავლისგან.

5. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანიის ადმინისტრაციული ხარჯები შედგება ხელფასებისგან, საკონსულტაციო, ცვეთის, სამეურნეო, საიჯარო, საგადასახადო და სხვა საოპერაციო ხარჯებისგან.

6. ნასესხები სახსრები

კომპანიას ნასესხები აქვს სახსრები ადგილობრივი კომპანიებისგან.

7. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები – 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია არსებითი პირობითი ვალდებულებები.

საოპერაციო გარემო. საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდება და საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციებით ხასიათდება. საქართველოში ამჟამად მოღვაწე მეწარმეთა წინაშე დგას სხვა სამართლებრივი და ფისკალური გამოწვევებიც.

საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც ძირითადად ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოების გეგმებს უკავშირდება. ამ წლების განმავლობაში ჩატარებულ საკანონმდებლო ცვლილებებს ერთგვარად გზის გამკვლევის ფუნქცია ეკისრებოდა, საქართველო-ევროკავშირის დაახლოების სამოქმედო გეგმის პარალელურად მრავალი სხვა რეფორმაა მოსალოდნელი.

2022 წლის 21 თებერვალს რუსეთის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა აღმასრულებელ ბრძანებას დონეცკის სახალხო რესპუბლიკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის აღიარების შესახებ. 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთი შეიჭრა უკრაინაში, რაც გადაიზარდა ქვეყნებს შორის სრულმასშტაბიან ომში.

ამ მოვლენების შემდეგ აშშ-მ, დიდმა ბრიტანეთმა, ევროკავშირმა და სხვა ქვეყნებმა გაახანგრძლივეს სანქციები რუსი ჩინოვნიკების, ბიზნესმენების და კომპანიების შესახებ. ასეთმა განვითარებამ რუსული ბიზნესებისთვის შეიძლება გამოიწვიოს საერთაშორისო კაპიტალისა და საექსპორტო ბაზრების ხელმისაწვდომობა, რუსული რუბლის შესუსტება, კაპიტალის ბაზრების კლება და სხვა უარყოფითი ეკონომიკური შედეგები.

რუსეთმა უპასუხა დასავლეთის სანქციებს უკრაინაში შეჭრისთვის, 2022 წლის ბოლომდე პროდუქციის ექსპორტისაკრძალვით.

8. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ ყოფილა.